

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარული ფაკულტეტი  
სხდომის ოქმი № 2

თბილისი

27 მარტი, 2010 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე, ასოცირებული პროფესორი ოლღა ქავთარია, მასწავლებლები მანანა ლლონტი, ალა ავაკოვა, ბელა კორინთელი, გვანცა ჯიჩოშვილი, სტუდენტები ანტონ სისოევი და მეგი მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარე: ასოცირებული პროფესორი ოლღა ქავთარია

სხდომის მდივანი: გვანცა ჯიჩოშვილი

დღის წესრიგი:

1. თჰუ საგანმანათლებლო პროგრამის („ევროპეისტიკა“) მოდიფიკაცია;
2. ალლა მეტრეველის თანამდებობიდან გათავისუფლება.

მოისმინეს:

თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის პროფესორ ოლღა ქავთარიას ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ

1. ჩატარდა ევროპეისტიკის საბაკალავრო და სლავისტიკის სამაგისტრო პროგრამების მოდიფიკაცია და მზადაა აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად და დასამტკიცებლად;
2. ჰუმანიტარული ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი ალლა მეტრეველმა დაარღვია თჰუ შრომის შინაგანაწესისა და თჰუ შრომის კონტრაქტის პირობები. მომხსენებელმა სთხოვა საბჭოს წევრებს განიხილონ ა. მეტრეველის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ვ. საყვარელიძემ, მასწ. მ. ლლონტმა.

ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელა და გადაწყვიტა:

1. ევროპეისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სლავისტიკის სდამაგისტრო პროგრამა მოდიფიცირებული სახით მზადაა წარსადგენად თჰუ აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
2. თჰუ შრომის შინაგანაწესისა და თჰუ შრომის კონტრაქტის პირობების დარღვევის საფუძველზე გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ჰუმანიტარული ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი ალლა მეტრეველი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :



ო. ქავთარია

სხდომის მდივანი:

გ. ჯიჩოშვილი